ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N44

ქ.თბილისი

23 ივლისი, 2019 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
გოჩა თევდორაძე
თევდორე ისაკაძე
ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი
თინათინ ნიბლოშვილი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
თარაშ შურღაია
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ილია ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე
ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ფრიდონ ინჯია
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ხაბეიშვილი
ლევან ჯაფარიძე
ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი ებანოიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი გიგა გიგაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე დავით ჯაიანი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ქეთევან ველთაური;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი ნინო კვეტენაძე;

საქართველოს პარლამენტის წევრები: ბიძინა გეგიძე, ლევან გოგიჩაიშვილი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ლევან ხაბეიშვილმა სარკაზმით განაცხადა, რომ დღის წესრიგით წარმოდგენილი ყველა საკითხი ერთი მეორეზე უკეთესია და ორიენტირებულია თბილისელებზე; ბოდიშს იხდის იმისთვის, რომ საზოგადოება შეცდომაში შეჰყავდა, როდესაც მერიის თანამშრომლებს კორუფციაში ადანაშაულებდა, რადგან ქვეყანაში არანაირი კორუფცია არ არის; წუხს იმის გამო, რომ ატყუებდა საზოგადოებას, როდესაც ამბობდა, რომ ხალხს უჭირს, რადგან ყველაფერი კარგად არის და თბილისში არც ეკონომიური და არც სოციალური პრობლემებია; ბოდიშს იხდის, რომ აპროტესტებდა ამა თუ იმ მშენებლობას, რადგან რეალურად კარგის მეტი არაფერი ხდება და კალაძის მერად არჩევის შემდეგ, სერიოზული აღმშენებლობაა, რისი არ დანახვაც არ შეიძლება; ბოდიშს იხდის იმ განცხადებებისთვისაც, როდესაც ამბობდა, რომ ბიუროკრატია იზრდებოდა ათობით მილიონი ლარით, რადგან ამ დროს ხელისუფლება და მისი კოლეგები 24 საათის განმავლობაში მუშაობდნენ თბილისელების კეთილდღეობისთვის და მიმართა საკრებულო წევრებს: „თქვენ ხართ ამ ქვეყანაში თავისუფლების, დემოკრატიის გარანტი". მან ასევე სარკაზმით, მადლობა გადაუხადა ტელეკომპანია „იმედს" იმისთვის, რომ არ გაუშუქებიათ მისი ტყუილების ალბათ 90% და რომ ეს ტელევიზია იქნება „სიტყვის თავისუფლების გარანტი". საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას დატოვებს არა პროტესტის ნიშნად, არამედ იმიტომ, რომ საკრებულოს წევრებს ხელი არ შეუშალოს თბილისელების კეთილდღეობისთვის მუშაობაში და მიმართა მათ: „ეს არის ის საქართველო, რომელიც ალბათ თქვენც მოგეწონებათ და ბიძინა ივანიშვილსაც". განცხადების გაკეთების შემდეგ, ლევან ხაბეიშვილმა დატოვა საკრებულოს სხდომა.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ საბედნიეროდ, საკრებულოს ბიუროს მიერ, საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგიდან ამოღებული იქნა სავარაუდო კორუფციული სქემის შემცველი საკითხი, რომლითაც მერია აპირებდა „ვისოლ ჯგუფისთვის" თბილისელების კუთვნილი ტერიტორიების გადაცემას. ესენია: ხეთაგუროვის ძეგლი, სკვერი თუ გზაგამყოფი და დიდ დიღომში არსებული სპორტული სივრცე, სადაც ის ვერასდროს ვერაფერს ააშენებს, რადგან იქ არსებული ზონის სტატუსი არ იძლევა ამის საშუალებას. ისაუბრა „მზიურში", რაგბის კავშირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი მრავალსართულიანი შენობების მშენებლობაზე. განაცხადა, რომ ეს ის არ არის, რისთვისაც აგვირჩია თბილისის მოსახლეობამ და რა სულისკვეთებითაც მოვედით დედაქალაქის ხელისუფლებაში და მიმართა საკრებულოს წევრებს, ამოიღონ აღნიშნული საკითხი მიმდინარე სხდომის დღის წესრიგიდან, რადგან მისი „კენჭისყრაზე დაყენებაც კი არის ზურგის შექცევა იმ ყველა პრინციპისა და ღირებულებისთვის, რისთვისაც ჩვენ აქ ვსხედვართ". ვახტანგ შაქარიშვილმა ასევე, ისაუბრა ვაკის გამგეობის შენობის გვერდზე არსებულ სკვერზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომლის განაშენიანებასაც წლების განმავლობაში ცდილობს „ვისოლ ჯგუფი", თუმცა თამარაშვილის ქუჩის მაცხოვრებლების აქტიურობით, შენარჩუნებულია დღევანდელი სახით. მისი თქმით, ამ ტერიტორიაზე სამშენებლო ნებართვის გაცემამდე დარჩენილია რამდენიმე დღე და მიუხედავად იმისა, რომ კომპანია იქ ვერანაირი სახის მშენებლობას ვერ განახორციელებს, ნებართვის გაცემის შემთხვევაში, გაიზრდება მიწის ნაკვეთის ფასი და ქალაქს მოუწევს უფრო მეტი თანხის გადახდა იმისთვის, რომ არ განხორციელდეს „კიდევ ერთი დანაშაულებრივი მშენებლობა". ვახტან შაქარიშვილმა მოუწოდა საკრებულოს წევრებს, რომ მიმართონ მერიას, შეაჩეროს წარმოება აღნიშნულ საკითხზე, რადგან ეს სივრცე შესანარჩუნებელია.

ირაკლი ზარქუამ ლევან ხაბეიშვილის გამოსვლას „შოუ" უწოდა და განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს არ აინტერესებთ დედაქალაქის განვითარება, მათი მთავარი ამოცანაა სიცრუის ტირაჟირება და ქვეყანაში დაძაბულობის შექმნა.

გამოეხმაურა ვახტანგ შაქარიშვილის მიერ ხსენებულ საკითხს, რომელიც საკრებულოს ბიუროს მიერ, ამოღებული იქნა საკრებულოს რიგგარე სხდომის დღის წესრიგიდან და განმარტა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე აშენებულია სპორტული კომპლექსი, გასულია ათწლიანი ვალდებულება და იქიდან გამომდინარე, რომ ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2, მფლობელს სრული უფლება აქვს, გრგ-ს ფარგლებში, ააშენოს კერძო სახლები. თუმცა, ქალაქის დღევანდელი ხელისუფლება, როგორც პასუხისმგებლიანი მთავრობა, აქცენტირებულია სპორტული კომპლექსების მშენებლობასა თუ შენარჩუნებაზე და განაგრძობს მიწის ნაკვეთების მონაცვლეობას. ზემოთ ხსენებული საკითხის განხილვა გადაიდო არა იმიტომ, რომ რაიმე კორუფციული სქემის განხორციელებას ჰქონდა ადგილი, არამედ იმიტომ, რომ რამდენიმე პროექტის გაერთიანებით, მოხდეს დედაქალაქის ინტერესში შემავალი უფრო მასშტაბური პროექტების განხორციელება.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ ლევან ხაბეიშვილმა „იაფფასიანი შოუს დადგმით სცადა გადაეფარა ის პროექტები, რომლებიც ხორციელდება ქალაქში". კერძოდ, თბილისის ბიუჯეტში შენარჩუნებულია ქალაქისთვის საჭირო ყველა პრიორიტეტული პროექტი და დამატებულია კიდევ რამდენიმე პროექტის განხორციელება, რომელთა ნაწილი დასრულდება წელსვე, ხოლო ნაწილი 2020 - წელს. მისი თქმით, ეს ყველაფერი ემსახურება იმ მიზნებს, რომ ვცხოვრობდეთ ისეთ ქალაქში, როგორიც თითოეულ ჩვენგანს გაუხარდება და ჩვენი ქალაქი იყოს ბევრად უკეთესი, ჰქონდეს დღევანდელზე უფრო მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს „რევანში და ქვეყნის დანგრევა" არ გამოუვათ, ხოლო „ჩვენ, თანამოქალაქეებთან ერთად, გავაგრძელებთ უკეთეს საქართველოში ცხოვრებას".

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ ლევან ხაბეიშვილის პერფორმანსი უკავშირდებოდა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-თან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. მისი თქმით, სასამართლომ დაასკვნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლების რეჟიმის პირობებში ხდებოდა წამება, საკუთარი თანამოქალაქეების მკვლელობა, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა და საკუთრების უფლების სისტემატური დარღვევა. შესაბამისად, ეს რეჟიმი შეუთავსებელი იყო დემოკრატიასთან და განსხვავებულ აზრთან, რაც თავადვე დაამტკიცეს სასამართლოს მიმართ კრიტიკული განცხადებების გაკეთებით. ბექა დავითულიანმა ასევე, ისაუბრა ვახტანგ შაქარიშვილის მიერ ხსენებულ საკითხზე, რომელიც საკრებულოს ბიუროს მიერ, ამოღებული იქნა საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგიდან და განმარტა, რომ საკითხის სამომავლო განხილვისთვის გადადება მოხდა არა იმიტომ, რომ ადგილი აქვს რაიმე კორუფციული სქემის განხორციელებას, არამედ იმიტომ რომ „ვისოლ ჯგუფს" აქვს რამდენიმე სპორტული კომლექსი და მუნიციპალიტეტის ინტერესში შედის, რომ უძრავი ქონების მონაცვლეობა განხილული იქნას ერთიან პაკეტში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ნინო რუხაძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის მიზნით, გრანტის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ";

მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების“ (NC37466/1413/9665) დანართ B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) განსახორციელებელ ცვლილებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc- ფონდს“-ს შორის, „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის“ ფარგლებში, გაფორმებული გრანტის ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ქეთევან ველთაური

7. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N42-40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

8. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი

11. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

14. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

15. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის), ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

17. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

18. „ქ.თბილისში დიდი დიღომი, IV მიკრო რაიონში, მე-12 კორპუსის მიმდებარედ არსებული 2359 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.084) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

19. „ქ.თბილისში, გოთუას ქუჩის, N21-ის მიმდებარედ არსებული 358 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.003.037) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს

სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

21. „ქალაქ თბილისში, მელაანის მე-V შესახვევის კორპუს N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.037.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

22. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 1082 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N72.16.21.898) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

23. „სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/კ.: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №61.01182883 ბრძანებაში ცვლილების შეტანის საკითხზე თანხმობის მიცემის შესახებ";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

24. „ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.14.031.055) პირდაპირი განკარგვის წესით ლალი ჟღენტისთვის (პ/ნ.: 01025004391) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

25. „ქალაქ თბილისში, პუშკინის ქუჩა N5-7-ის მიმდებარედ 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.018.064) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფოტოპლაზა+"-ისთვის (ს/ნ.: 205028762) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

26. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.027.029) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ემზარ ბიწაძისთვის (პ/ნ.: 54001006993) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

27. „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქ.N1-ში მდებარე 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.19.20.024.959) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიკა 93"-ისთვის (ს/ნ.: 406077793) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

28. „ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა N21-ის მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.064.072) და ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა N21-ის მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.03.064.073) პირდაპირი განკარგვის წესით მიხეილ მანაშეროვისთვის (პ/ნ.: 01015003210) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

29. „ქალაქ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა N31-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.14.004.043) პირდაპირი განკარგვის წესით მოსლემ ბაბახანისთვის (პ/ნ.: 01491032850) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

30. „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი VII კვარტალი, კორპუსი N2-ის მიმდებარედ 168 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.04.018.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამეცნიერო-საწარმოო კომპანია სოვბისთვის" (ს/ნ.: 204446313) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

31. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №14-ის მიმდებარედ 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.046.014) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გესთისთვის" (ს/ნ.: 405245471) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

32. „ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. კვარტალი II, კორპუსი N1-ის მიმდებარედ არსებული 2027 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.707) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

33. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით აუქციონში გამარჯვებული შპს "ქართლიენერჯი"-სთვის (ს/კ.: 404561568), ელექტროსატრანსპორტო საშუალებ-ების დამტენების განთავსების მიზნით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

34. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „ქართლიენერჯი"-ს (ს/ნ.: 404561568) შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებულ იჯარის შესახებ N0-455-1-23227 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

35. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N26-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი N01.19.19.004.078) არსებული 15803 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

36. „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა N13-ის შესახვევის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი N01.10.06.001.261) არსებული 16885 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

37. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

38. „ქალაქ თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ვაკე-94“-ის ტერიტორიას შორის, (ნაკვეთი 05/139) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

39. „ქ.თბილისში, ქართულ-ამერიკული მეგობრობის გამზირი, N25-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.814) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

40. „ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.18.847) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

41. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის მონაკვეთისთვის მსახიობ ბელა მირიანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი
თანამომხსენებელი: მარიკა დარჩია

42. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის შესახვევისთვის, ლამის II ჩიხისთვის და ასპინძის ქუჩის შესახვევის მონაკვეთისთვის მსახიობ დოდო ჭიჭინაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი
თანამომხსენებელი: მარიკა დარჩია

43. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, წერნაქის ქუჩის მონაკვეთისთვის მსახიობ ლეილა აბაშიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი
თანამომხსენებელი: მარიკა დარჩია

44. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მახათას ქუჩის შესახვევისთვის მსახიობ ლიანა ასათიანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი
თანამომხსენებელი: მარიკა დარჩია

45. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მახათას ქუჩისთვის მსახიობ მარინე თბილელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი
თანამომხსენებელი: მარიკა დარჩია

46. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ერთი გასასვლელისთვის რეჟისორ გიორგი დანელიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი
თანამომხსენებელი: მარიკა დარჩია

47. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, რევაზ თაბუკაშვილის ქუჩის ჩიხისთვის და შესახვევისთვის მსახიობ მედეა ჯაფარიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი
თანამომხსენებელი: მარიკა დარჩია

48. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი
თანამომხსენებელი: მარიკა დარჩია

49. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვასილ ბარნოვის II ჩიხისთვის და ერეკლე ტატიშვილის I ჩიხისთვის მსახიობ გივი ბერიკაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი
თანამომხსენებელი: მარიკა დარჩია

50. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სერგო ზაქარიაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობ იაკობ ტრიპოლსკის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი
თანამომხსენებელი: მარიკა დარჩია

51. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გია რომელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო სპორტული მოედნისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლევან შათირიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი
თანამომხსენებელი: მარიკა დარჩია

52. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ნინო რუხაძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ ნინო რუხაძე არის საკრებულოს გამოკლებული წევრის დავით უჯმაჯურიძის უფლებამონაცვლე და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული

ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის მიზნით, გრანტის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა და განმარტა, რომ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ, გრანტის სახით გამოყოფილი 159000 ლარი სრულად მოხმარდება ხელოვნურად გაშენებული ტყეების ბუნებრივად გარდაქმნის სამუშაოებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების“ (NC37466/1413/9665) დანართ B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) განსახორციელებელ ცვლილებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს საკონსულტაციო კონტრაქტის ვადის გაგრძელებას 5 თვით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc- ფონდს“-ს შორის, „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის“ ფარგლებში, გაფორმებული გრანტის ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია ვადის გაგრძელება ერთი წლით. მიმდინარე წლის ბიუჯეტი იზრდება 9600 ლარით, რომელიც სრულად იქნება მიმართული ამ პროექტის ფარგლებში დასაქმებული კადრების ხელფასებზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ბიუჯეტში ორი გრანტის ასახვა, რის შედეგადაც თბილისის ბიუჯეტი იზრდება 169000 ლარით. ასევე, სატენდერო ეკონომიების საფუძველზე, წარმოდგენილია 13091000 ლარის შიდა გადანაწილება სხვადასხვა საჭირო პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ თბილისის ბიუჯეტი იზრდება 169000 ლარით, რომელიც მიმართული იქნება კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებისკენ და ასევე, წარმოდგენილია 13000000 ლარის ფინანსური რესურსის გადანაწილება სხვადასხვა მიმართულებებით, რაც მისასალმებელი და მხარდასაჭერია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ქეთევან ველთაურმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია ცვლილებები „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში“, კერძოდ, იზრდება ასაკობრივი ჯგუფი და მოსარგებლეები იქნებიან 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარები; მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ, 12-დან 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარებისთვის, შემუშავებული იქნება სოციალური პროგრამა; მშობელს ექნება შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს სეანსის ტიპების შემუშავებაში და დაესწროს სეანსებს; თბილისში სამწლიანი რეგისტრაცია აღარ იქნება საჭირო იმ ბენეფიციარებისთვის, რომლებიც არასდროს ყოფილან რეგისტრირებული საქართველოს რომელიმე სხვა მუნიციპალიტეტში. პროექტით წარმოდგენილია ასევე, ცვლილება „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამაში“. კერძოდ, სწორდება ტექნიკური ხარვეზი „ე.დ“ პუნქტის ნაცვლად, რომელიც მოიცავს ფარისებრი ჯირკვლის კიბოს დაავადებათა სკრინინგის ფარგლებში კონსულტაციას, უნდა იყოს „ე“ პუნქტი, რომელიც მოიცავს არა მარტო კონსულტაციას, არამედ ასევე, ექოსკოპიას, ანალიზებს და ა.შ.

გიორგი ბირბიჩაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით, „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში“ ჩართვის შესაძლებლობა ექნება უფრო მეტ ბენეფიციარს, რომლებსაც დააფინანსებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. შესაბამისად, უფრო გაფართოვდება ქვეპროგრამით მოსარგებლეთა წრე, რაც მისასალმებელი და მხარდასაჭერია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N42-40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი მოიცავს სამეწარმეო საქმიანობის მიზნით გამოსაყენებელი ელექტრო ველოსიპედების, მოპედების და ელექტროძრავიანი სხვა სატრანსპორტო საშუალებებისთვის პარკირების გარკვეული ადგილების უსასყიდლოდ გაცემას, რაც ხელს შეუწყობს მათ საქმიანობას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, თბილისში რეგისტირებულ ფიზიკურ პირს, რომელსაც ზონალური პარკირების არეალში, საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება, მათ შორის კომერციული ფართი, უფლება აქვს, ორ სატრანსპორტო საშუალებაზე ისარგებლოს უფასო პარკირებით ზონალური პარკირების იმ ადგილზე, სადაც პარკირება ფასიანი იქნება 1 აგვისტოდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ვასილ აბულაძემ, დღის წესრიგით წარმოდგენილი მე-7 და მე-8 საკითხების სათაურების მსგავსების გამო, განმარტებები გააკეთა შეცდომით. კერძოდ, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N42-40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხის განმარტება მითითებულია „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხის განმარტებად, ხოლო „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხის განმარტება - „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N42-40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხის განმარტებად.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც მუნიციპალიტეტს ეკისრება ნარჩენების მართვის კოდექსით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა და განმარტა, რომ გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ფუნქციებს ემატება ქალაქში არსებული შადრევნების მოვლა-პატრონობის ზედამხედველობა, რაც აქამდე გათვალისწინებული იყო ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის ფუნქციებში. შესაბამისად, ცვლილებაა ბიუჯეტის ნაწილშიც და დამფინანსებელი იქნება გარემოს დაცვის საქალქო სამსახური.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს უფლებამოსილება განკარგოს საკუთრებაში არსებული ქონება და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია უფლებამოსილების დელეგირება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ შპს-ზე „ეკოსერვის ჯგუფი“, რათა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ნარჩენის განკარგვის უფლება ჰქონდეს მასვე, გამოიყენოს მეორადი სახით და აქციოს პროდუქტად. აქვე განმარტა, რომ ნარჩენებში იგულისხმება სანიტარული სხვლა-ფოთვლის შედეგად მიღებული მწვანე ნარჩენი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა და განმარტა, რომ დებულებაში ცვლილება გამოწვეულია შადრევნების მოვლა-პატრონობის ზედამხედველობის ფუნქციის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში გადატანით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და ამასთანავე, ისაუბრა მომდევნო ოთხ საკითხზეც. აღნიშნა, რომ ქონების მართვის სააგენტო ასრულებს რეორგანიზაციის პროცესს და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია საკრებულოს რამდენიმე დადგენილებაში განსახორციელებელი ცვლილებები. ესენია: ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ფუნქციებიდან „ქონების მართვის სააგენტოს ფუნქციებში გადადის წითელი ხაზების ფუნქციები. აქედან გამომდინარე, სააგენტოში იქმნება ახალი სამმართველო და მოხდება მისი დაკომპლექტება; მუნიციპალიტეტს, იჯარებთან დაკავშირებით, აქვს საკმაოდ დიდი რაოდენობის დავები, რომლებთან დაკავშირებითაც სასამართლო წარმოებას უზრუნველყოფს იურიდიული საქალაქო სამსახური, თუმცა შემოდგომიდან ეს დავები დაუბრუნდება სააგენტოს. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია იურიდიული სამსახურის გაძლიერება და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს ცალკე ერთეულად ჩამოყალიბება; დებულებას ემატება სააგენტოს უფროსის მოადგილის თანამდებობა და გაიწერება მისი უფლებამოსილება; იქმნება აპარატი, თუმცა ეს არ იქნება ახალი შტატებისთვის გამოყოფილი სტრუქტურული ერთეული, არამედ აქ იქნება შიდა მონიტორინგის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სააგენტოში შემოსულ კორესპონდენციაზე დროულად და ეფექტურად პასუხის გაცემის მონიტორინგს; დღეს მოქმედი რედაქციით, შპს-ების და ა(ა)იპ-ების საკუთრებაში არსებული ქონების, მათ შორის ჯართის და სხვა, რეალიზებაზე გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა, რის შემდეგაც ცხადდება აუქციონი. პროექტით წარმოდგენილია ამ უფლებამოსილების დელეგირება სააგენტოზე და საკითხის სამართლებრივი მოწესრიგება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

